წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის

საბჭოს სხდომის ოქმი №1

ქ.წყალტუბო

23 იანვარი, 2025 წელი, 09:30 სთ.

საბჭოს წევრები:

გრიგოლ ყურაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

მალხაზ ჩხეიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარეხ კანკაძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

ფატი გაგოშიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ანა გელენიძე - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

ელენე კრავცოვა - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი;

არჩილ ღიბრაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი ფაჩუაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე;

ლალი გრიგოლავა - არასამთავრობო ორგანიზაცია ,,წყალტუბოს დევნილ ქალთა კავშირი";

თეიმურაზ ფირცხალავა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მალხაზ ჩხეიძემ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივის გაცნობა, განხილვა და მისი შეფასება სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მალხაზ ჩხეიძემ, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრებს გააცნო სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში წარმოდგენილი 1 (ერთი) საპროექტო ინიციატივა.

საპროექტო ინიციატივა, ჯამური ღირებულებით -149950 ლარი.

1) **ღირებულება:** 149950 ლარი;

დასახელება: "წყალტუბოს ცენტრალური პარკისა და საბავშვო ბაღების ინვენტარიზაცია";

აღწერა: დეკორატიული ქვის ზურგიანი სკამების, დეკორატიული ქვის უზურგო სკამების, დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდების, დეკორატიული ქვის მრგვალი საყვავილეების და დეკორატიული ქვის ურნების განთავსება ცენტრალური პარკისა და ქალაქში მდებარე საბავშვო ბაღების ტერიტორიაზე;

ავტორი: თამაზ დუნდუა (ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე).

N1

მოისმინეს:

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მალხაზ ჩხეიძემ, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრებს გააცნო თამაზ დუნდუას (ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) მიერ წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა.

აზრი გამოთქვეს:

წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა შევსებულია სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. საპროექტო ინიციატივას ასევე ხელს აწერს 10 მხარდამჭერი (ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრები).

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მალხაზ ჩხეიძემ, აღნიშნა, რომ დეკორატიული ქვის ზურგიანი სკამების, დეკორატიული ქვის უზურგო სკამების, დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდების, დეკორატიული ქვის მრგვალი საყვავილეების და დეკორატიული ქვის ურნების შეძენა, ქალაქ წყალტუბოს მოსახლეობის ინტერესებს წარმოადგენს და გამომდინარე აქედან შესაბამისობაშია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის მიზნებთან.

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

სხდომას ესწრებოდა სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს 9 წევრი

მიღებულია გადაწყვეტილება:

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში, შესყიდულ იქნას დეკორატიული ქვის ზურგიანი სკამები, დეკორატიული ქვის უზურგო სკამები, დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდები, დეკორატიული ქვის მრგვალი საყვავილეები და დეკორატიული ქვის ურნები.

საბოლოო შედეგები:

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში წარმოდგენილი 1 საპროექტო ინიციატივა შესაბამისობაშია ფორმირების წესით განსაზღვრულ პირობებთან.

საპროექტო ინიციატივების ჯამური ღირებულება არ აღემატება ჯამურად გამოყოფილ თანხას (150000 ლარი), შესაბამისად ინიციატივების გადასარჩევად დამატებითი პროცედურების, კერძოდ არჩევნების ჩატარება არ არის საჭირო და ის ექვემდებარება დაფინანსებას.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ ყურაშვილი

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მალხაზ ჩხეიძე

საბჭოს წევრები:

მარეხ კანკაძე

ფატი გაგოშიძე

ანა გელენიძე

ელენე კრავცოვა

არჩილ ღიბრაძე

გიორგი ფაჩუაშვილი

ლალი გრიგოლავა

თეიმურაზ ფირცხალავა